ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599350451

N 309
24/07/2018

309-07-3-201807241116

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 23 ივლისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

წარმოგიდგენთ აღნიშნული სხდომის ოქმს.

დანართი: სხდომის ოქმი №12– 2(ორი) ფურცელი
დასკვნა №12– 1(ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №12

ქ.ლანჩხუთი 23.07.2018.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: დავით ჩხარტიშვილი, თორნიკე ტიკაძე, ამირან გიგინეიშვილი და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 28 ივნისის N1316 განკარგულებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 134679 ლარი; მათ შორის: გზის რეაბილიტაციისათვის 90032 ლარი, კულტურის ობიექტების რეაბილიტაციისათვის 44647 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში არაფინანსური აქტივების მუხლის 45000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუბსიდირების დაფინანსება 45000 ლარით.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხზე დაწყებული იყო ადმინისტრაციული წარმოება. დღეის მდგომარეობით განკარგულებაში შესულია ცვლილებები, რის საფუძველზეც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 4335415 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების მიზნით გამოიყო 139417 ლარი, ანუ მიმდინარე საფინანსო წელში ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსებაზე მიიმართება 4474832 ლარი, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2986920 ლარი, აქედან თანადაფინანსება შეადგენს 63988 ლარს; კულტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართება 979337 ლარი, თანადაფინანსება 50000 ლარი; ბინათმშენებლობაზე 105965 ლარი, თანადაფინანსება 5298 ლარი; წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართება 402610 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება 20131 ლარი. აღნიშნული ცვლილებები ბიუჯეტში ასახული უნდა იქნეს როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვის ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ ცვლილება შეიტანა წარმოდგენილ დადგენილების პროექტში და განიხილა კორექტირებული სახით.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა გამოთქვა უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ საკითხს არ ახლდა ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი და მოითხოვა, რომ მომდევნო სხდომისთვის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იქნას დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროექტების დაფინანსება ხდება კონკრეტულად. მან ასევე დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ ბიუჯეტში იყო თუ არა აღნიშნული თანადაფინანსების თანხა 139000 ლარი, რაზეც როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში თანადაფინანსებისთვის 113000 ლარი ასახულია, ხოლო დარჩენილი 26000 ლარი შეივსება ქონების გადასახადიდან შემოსული თანხით. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ები მათთვის დამტკიცებული წლიური ბიუჯეტიდან თვითონვე, საკრებულოს თანხმობის გარეშე უნდა ახდენდნენ თანხების მუხლიდან მუხლში გადატანას. როლანდ ლაშხიამ კი განმარტა, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხების განაწილება ხდება სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით, ამიტომ პროგრამა ითვალისწინებს არაფინანსური აქტივების მუხლის კონტროლს, შესაბამისად ამ კუთხით საკრებულოს თანხმობა აუცილებელია.

კორექტირებულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა კორექტირებული სახით.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტის კორექტირებულ ვარიანტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

სხვადასხვა

-დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ჩოხატაურთან, ოზურგეთთან და არასამთავრობოებთან ერთად ახორციელებს ტურიზმის განვითარების პროგრამას. მან დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ იყო თუ არა ასახული ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამით დამტკიცებული გრანტები, რაზეც როლანდ ლაშხიასგან უარყოფითი პასუხი მიიღო. მან ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ წამოდგენილი იყო პროექტი, რომელიც ეხებოდა გრიგოლეთის მაგნიტური ქვიშის მეცნიერულ კვლევას. აღნიშნული ქვიშა კურნავს როგორც გულსისხლძარღვთა, ასევე სახსრების დაავადებებს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში გრიგოლეთი გახდებოდა ბალნეოლოგიური კურორტი და ტურისტული ზონა. მან გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პროექტის დაფინანსება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 23.07.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №12

2018 წლის 23 ივლისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა კორექტირებული სახით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.07.2018 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 55	
2	თორნიკე ტიკაძე	10 58	
3	გიორგი ჩახვაძე	10 59	
4	დავით ჩხარტიშვილი	11 00	
5	ამირან გიგინეიშვილი	10 55	
6	იოსებ ჩხაიძე	არასწორად	
7	აკაკი იმნაიშვილი	არასწორად	
8	ზურაბ კუკულავა	არასწორად	